№ 208

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 208

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“
ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

დეკანოზი სოლომონ ანდრიას ძე ელიოზოვი, შვილებით ევსევითა და მარიამით, აზ. პავლე დიმიტრის ძე არჯევანიძე და ქვრივი თეგრონია დიმიტრის ასული მდივნისა აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას, მეორენი—თავისის დაუვიწყარის საყვარელის დედისას და მესამენი—დისას,

ნინო დიმიტრის ასულის ელიოზოვისას,

სთხოვენ მობრძანდნენ 9 ოქტომბერს, ხუთშაბათს, დილის 10 საათზედ, ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილი იქმნება წირვა და ანდერძი მიცვალებულისა.

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება 8 ოქტომბერს, დღის 12 საათსა და საღამოს 7 საათზედ.

(1—184—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან **ეფ. ს. მესხის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა:

აი გიდი მეგობრებო!

კომ. 4 მოქ. სარდუსი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. ს. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარელისა, საყვარელიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, კარბელი, საფაროვი, დიმიტრიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

რეჟისორი კ. მესხი

მთავრობის განკარგულებანი

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

III ამხანაგობის საშუალებანი.

§ 20 ამხანაგობის საშუალებას შეადგენენ სამოქმედო და სათადარიგო თანხები.

§ 21. სამოქმედო თანხა შესდგება: ა) საწევრო ფულისა და ბ) იმ ფულისაგან, რომელიც საზოგადო კრების დადგენილებით გადატანილი იქმნება სათადარიგო თანხიდგან. იგი უნდა იყოს ამხანაგობის სამოქმედოდ და მანვე გაისტუმროს მიმდინარე ხარჯი.

§ 22. სათადარიგო თანხა შესდგება: ა) წევრთა შესასვლელ გადასახადისაგან; ბ) ამხანაგობის მოგებიდგან გადადებულის ფულისაგან; გ) მესაკუთრეთა მიერ არ მოკითხულის სხვა დასხვა ფულისა და სხვა შემთხვევით შემოსავლისაგან, და დ) სათადარიგო თანხის სარგებლისაგან.

§ 23. სათადარიგო თანხას აზრად აქვს: ა) დაჰფაროს ის ზარალი, რომელიც ამხანაგობას მოქმედების დროს მოუვა. ბ) ამ ფულით ამხანაგობისათვის საჭირო უძრავი მამული იქმნას შეძენილი და გ) დროებით გააძლიეროს სამოქმედო თანხა თუ საჭირო იქმნება სავაჭრო ალებ-მიცემობისა და სამრეწველო საქმისათვის.

§ 24. სათადარიგო თანხა ამხანაგობის საკუთრებას შეადგენს და არ დაუბრუნდება წევრთ ამხანაგობის საქმეთა გაუქმებამდე; იმის დასარჯვა შეიძლება მხოლოდ ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით.

§ 25. როდესაც სათადარიგო თანხა იმ ზომამდე მიაღწევს, რომ საწევრო ფულის თანხის 10% შეუთანასწორდეს, საზოგადო კრებას ნება ეძლევა მე—22 §-ში ნაჩვენები ფული გადასდოს ა) ამხანაგობის სამოქმედო თანხის გასაძლიერებლად; ბ) ამხანაგობის წევრთ შესასვლელის გარდასახადის დასაბრუნებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ ადრე შესულთ დაუბრუნდეთ და შემდეგ დანარჩენთ და გ) სასოფლო მეურნეობის საზოგადოდ სასარგებლო საქმისათვის. თუ ამხანაგობის ზარალის გამო სადათარიგო თანხა შემცირდება, ზემო დასახელებულის საქმეებისთვის ფული აღარ უნდა გადაიდოს, ვიდრე იგი კვლავ არ იქმნება დადგენილი რაოდენობამდე შევსებული.

§ 26 ამხანაგობაში მონაწილეთა კვალი ვერ გადაჰხდება ამხანაგობას თანხას, იგი უნდა გარდახდეს მხოლოდ იმ წევრთა კუთვნილს საწევრო და იმ ფულს, რომელიც იმათ ერგებათ ამხანაგობიდგან.

§ 27 ამხანაგობის თანხანი, იმ ფულს გარდა, რომელიც სამოქმედოდ არის საჭირო, შენახულ უნდა იქმნას სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებად, ან სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი. საკრედიტო დაწესებულებებიდგან ამხანაგობის თანხის გამოტანა შეიძლება მიწერილობის შემწეობით, რომელზედაც გამგეობის თავმჯდომარის და ორის წევრისაგან უნდა იყოს ხელ-მოწერილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ № 207.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, იწყებს სეზონს ჩვენი ქართული დრამატიული დასი. პირველ წარმოდგენისათვისვე დასს ახალი პიესა მოუმზადებია, სახელდობრ სარდუს ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ჰაი გიდი, მეგობრებო!“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ეფ. მესხი. იმის გარდა, მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარელისა, საყვარელიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი და სხვანი. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ქართულ-სათეატრო ამხანაგობის წარმოდგენებს, რადგან ამ სეზონის ბედ-იღბალი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ივლის საზოგადოება. იმედი ვიქონიოთ, რომ წრევანდელს სეზონში ჩვენი სცენა უფრო მეტს საზოგადოებას მიიზიდავს და უფრო ეცდება იმისს ესტეტიურად დაკმაყოფილებას.

⁂ ტფილისის გუბერნატორი ფ. ა. ბიკოვი დღეს დილის მატარებლით ქუთაისს მიდის, საიდგანაც იგი გაემგზავრება ზეკარის გზის დასათვალიერებლად და შემდეგ აბასთუმანს წავა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა პოლიციის ბოქაულებს ტფილისის ლუდხანების სია მოსთხოვა და ცნობანი მათ პატრონთა შესახებ.

⁂ ორშაბათს, 6 ოქტომბერს, მნაცაკანოვის ხიდიდგან მდ. მტკვარში გადავარდა ერთი ტუსაღი, რომელიც სასამართლოდგან დარაჯებს ციხეში მიჰყავდათ. ამ ტუსაღს თურ-

---

ფელეტონი

დილიმზე

(მოთხრობა)

(დასასრული *)

გიომ სიდედრის სახლში სიარული დაიწყო ღამღამე, მაგრამ დილიმზეს საშინლად ეშინოდა გიოსი და ახლოც არ ეკარებოდა. როდესაც-კი მძლავრის სიყვარულით მგზნებარე გიო თავისს დანიშნულს უახლოვდებოდა საალერსოდ და სასიყვარულოდ, გაიავარდისფრებული დილიმზე ნიავ-ქარისაგან ათრთოლებულ ტირიფის ფოთოლივით ცახცახებდა, წითლდებოდა, ყვითლდებოდა ქალწულებრივის მორცხვობა-შიშით და მშველის ნუკრივით უსხლტებოდა განზე დამფრთხალი. ბევრს ევედრებოდა გიო მგზნებარე ვნებით აღსავსე, გატკბილ-ნაზებულ საამო ხმაზედ: „ნუ გეშინიან, ნუ მიფთხი, ჩემო სიცოცხლევ დილიმზე! უმანკოა ჩემი სიყვარული, როგორც შენი ხელუხლებელი ძუძუ-კოკბები, მთის წყარო და ველის ნიავიო“, მაგრამ დილიმზეს მაინც ეშინოდა და ახლო არ ეკარებოდა თავისს დანიშნულს.

მართალია, ჯერ დილიმზეს ნორჩუმწიფარს გულს გიოს სამიჯნურო სიყვარული არ შეეძლო, მაგრამ მაინც გიო არ ეჯავრებოდა და მოსწონდა კიდეც გუნებაში, როგორც კოხტა-ლამაზი და ბრგე-მამაცი ვაჟკაცი. დილიმზე ოთხსავ კუთხივ ჰხედავდა სოფელში თავისს მსგავსს მაგალითებს, რომ სხვებიც თორმეტ ცამეტის წლისას ჰნიშნავდნენ და ათხოვებდნენ ლამაზ-ლამაზ სოფლის გოგოებს და ისიც სხვების მიხედულობით ემორჩილებოდა ბედს და თან ამ ფიქრით ინუგეშებდა თავს: „ისინიც ხო ჩემოდენები გათხოვდნენ, ალბათ იმათაც წინდაწინ ჩემსავით ეშინოდათ და მემრე შეეჩვივნენ თავიანთ ქმრებსო“, და ამ ფიქრებთან ცხადად ახსენდებოდა ის დროც, როდესაც შვიდი-რვა წლის გოგო იყო, კუკაობას თამაშობდა, კუკის ნეფე-დედოფალს ერთად აწვენდა კუკების ქვეშაგებში, ნაკუწების პაწაწკნა ტანისამოსსა ჰკერავდა თავის პაწაწინა თითებით და თან სიხარულით გაიძახოდა ზარივით წკრიალა ხმაზედ სოფლის გოგო ბიჭებში გაგონილს ამ ლექსს: „დილილმე, დილილმე! ვარდი მოვიდაო, ის აკოცაო, იმ დაირცხვნაო, თავი ჩაღუნაო, ვარდი არ ეხსნაო, გულში ჩაიკრაო, და აგრე უთხრაო: შენ ჩემი მზე ხარო, ჩემი სულის დგმაო!.. ქა, დედი! არ გეყურება! როცა ჩემი ნეფე-დედოფალი შვილებს არ დააჩენენ, აიე ჰიჰრიკონა ზიზიებით უნდა მოვრთო ყმაწვილები, არა, დედილო? ძუძუც უნდა ვაწუო განა, არა ქალილო? „ჰო, შვილო, ჰო, იგრე უყავ, დედა გენაცვალოსო“, უპასუხებდა ხოლმე დაჟინებული კითხვებით თავ-შებეზრებული დედა—გაიანე.

— წუხელაც იმღამინდელივით ქოხის კუთხეში იყო მიკუჭული და აიგრე გაათენა ჩაცმულმა. ბევრი ვეხვეწე და ვემუდარე: მოდი, დაიძინე, დილიმზე, არ შაგცივდეს, გენაცვალე, რისა გეშინიან, თითსაც არ დაგახლებ-მეთქი, მაგრამ გაჯიუტდა, გაჯიქდა და მე ის ვერ დავაწვინე ქვეშაგებში. ტირილ-კივილით იკლებდა იქაურობას, ერთი ხელი რო მიმეხლო ხვეწნა-მუდარით: წამო, შენი ჭირიმე, დაიძინე-მეთქი,—რაღაც ჯავრ-ნაღვლიანის კილოთი უამბობდა ერთს დილას ქოხის დერეფანში გიო თავისს სიდედრს, რომელსაც იმ ღამეს მეზობელ დედა-ბერთან ეძინა.

— ვიშ, ნეტავი ემაგეთი სულ-წასულები კი არ იყვნეთ ე კაცები და. მინამ ქალი თავის დანიშნულს არ შეეჩვევა, ოცი წლისაც რო იყოს, ქალი სუ ემაგეთი მშიშარა-ხუდრუგიანი ზნისაა. დაიცა, შვილო, გეთაყვანე, ნურც იმას ამწარებ და ნურც შენ თავს. ემაგრე ასწრაფებით ქალს უფრო დააფთხობ, გადაჰრევ და ავათ გაჰხდი ღამის მწარება-შიშისაგან, და რათა, რისთვინ, შენთვინ არ გინდა, არ გეცოდება? სხვისა ხო არალი! უი, მოუკვდეს დედა როგო მენანება და მეცოდება, ამ დღეთ სუ მარგალიტის ცრემლები ჩამაჰდის ი დახატულ თვალებიდამ!.. შენი ჭირიმე, შვილო, აქამდინ მოგითმენია, ეხლაც მაითმინე: იარე, მაგრამ დააცადე, ერთ-ორ თვეს ნელ ნელა შეგეჩვევა, მორცხვობა-შიშს გაიტეხინებს და მერე თითონვე მოვა ჭკვაზე და მოიფიქრებს: ალბათ ღმერთს ეგრედ დაუწესებია ცოლ-ქმრობა, და მე რიდასათვინ გავქირიანოფო,—ასე ანუგეშებდა სიდედრი ძალზე გადარდიანებულ სიძეს, რომელსაც ეგონა რომ დილიმზეს მიკიტანი სადიკო ეყვარება და იმიტომ არ მეკარება და მტანჯავს მთელი ერთი თვეო.

გიომ სიდედრის რჩევას დაუჯერა, მართლაც გაიარა ცოტა დრო-ხანმა და დილიმზე ნელ-ნელა შეეჩვივა გიოს, რომელსაც თითქმის ყოველღამ „საკნატუნებელი ხმელი ხილი“ მიჰქონდა თავის დანიშნულთან.

იმის შემდეგ, რაც დილიმზე გიოს შეეჩვია, ისე გაირბინა ნახევარ წელიწადმა, რომ გიო ერთს ღამესაც არ დაჰკლებია და გამუდმებით დაიარებოდა „თავის გულის სამოთხე“ დილიმზესთან. ძალზე-გაგიჟებით სწყუროდა გიოს დღისითაც სულ დილიმზეს გვერდით ყოფილიყო განუშორებლივ და დილიმზეს შავი მაყვალივით თვალები და მარწყვის ტუჩები ეკოცნა ათასნაირის გატკბილ-ნაზებულის საამო სიტყვების შესხმით, მაგრამ კნიაზ გენოსი ეშინოდა და ეხათრებოდა.

გიოს და დილიმზეს დაახლოვებას ის მოჰყვა, რომ ყმაწვილმა ქალმა ზედა-ქვერად უქეიფობა-ხაზმუზიანობა დაიწყო, განთიადის მთვარესავით ფერ ნათელი დააკლდა, გამოელივა, გაიავარდისფრებული ქალი თანდათან ზეზეურ ჩამოყვითლდა, ჩამოდნა, ჩამოჰკნა, ძვალ-ტყავად იქცა, გამუდმებული ცხელება, ხველება და მუხლების სისუსტე-სიდამბლე დასჩემდა და ბოლოს, შვიდის თვის შემდეგ, მოწყვეტილ ვარდივით დამჭკნარი, მთვარესავით დალეული და სანთლის ნამწვავივით ჩამქრალი თვალებით ჩალოგინდა კიდეც მძიმე ავადმყოფად. ზოგნი ამობდნენ: ქმრიანობა არ მოუხდაო, და ბევრნი-კი „ხატის მიზეზს“ აბრალებდნენ. რაც-კი კახეთ-ქიზიყში „სახელ-განთქმული“ მკითხავები მოიპოვებოდნენ, ყველასთან იყვნენ გიო და მისი სიდედრი, ზოგს ეთქვა: წამალი არა დაალევინოთ-რა, ხატი იწყენს, თელეთის წმინდა გიორგი ალოცეთ და მორჩებაო; ზოგს ერჩივნა: გავაზის თეთრ

---

*) იხ. „ივერია“ № 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კატორგა გადაუწყვიტეს და გზიდგან იგი გაექცა ჯარის კაცებს, ერთმა მათგანმა შუბით დასჭრა იგი, მაგრამ მაინც გადახდა იგი მდინარეში. წყლიდგან ტუსაღი მეთევზეებს ამოუყვანიათ და პოლიციისათვის გადაუციათ.

⁂ პეტერბურგის გაზეთები სწერენ: იმ აზრით, რომ რუსეთის, სპარსეთის და ამის ახლო-მახლო ქვეყნებს შორის ვაჭრობა განცხოველდეს, განძრახვა აქვთ ყოველ წლიური იარმუკობა დააწესონ ამიერ-კავკასიის ერთ-ერთს ქალაქში და შეამცირონ რუსეთის სასურველ სპარსეთის საქონლისათვის სადამოჟნო გარდასახადი.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ უფლება უმაღლესს სასწავლებლებში შესვლისა, რომელსაც ანიჭებს მოწმობა გიმნაზიაში სწავლის დამთავრებისა, დროსა და ვადის გასვლით არ იკარგებაო.

⁂ 27 სექტემბერს პეტერბუგს რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებაში ამ საზოგადოების ერთს წევრთაგანს წაუკითხავს თავისი შენიშვნა კავკასიაში ჩაის მოყვანის შესახებ. იმისის სიტყვით, კავკასიის ერთი ნაწილი, სახელდობრ ბათუმისა და სოხუმის ოლქები, ლენქორანის მაზრა და აგრეთვე გურია და სამეგრელო დიდად ხელს უწყობენ ჩაის მცენარის მოყვანას. რაც შეეხება იმას, თუ რა შეუწყობს ხელს ამ მცენარის გავრცელებას, ამისათვის საჭიროაო, რომ კერძო კაცთ ხანგრძლივის ვადით იჯარით დაურიგოს ადგილ-მამული და აგრეთვე ჩინეთში გაჰგზავნონ აგრონომები ჩაის მოყვანის ხელის შესასწავლად. თუ წესიერად მოეწყო ეს საქმე, ჩაის მცენარე კავკასიაში 12°/₀ ზედ მეტს შემოსავალს მოიტანსო.

⁂ რადგან ტფილისის გუბერნიაში რამდენსამე ადგილას იჩინა თავი კეთრმა და ასეთ ავადმყოფთათვის ამიერ-კავკასიაში არსად სამკურნალო არა არსებობს, ტფილისის გუბერნატორმა საჭიროდ დაინახა შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ თიონეთის მაზრის ერთ-ერთს მიყრუებულს ადგილას განსაკუთრებული ქსენონი იქმნას გამართული კეთროვანთათვის.

⁂ ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისში ჩამოვიდა ბათუმის ქალაქის თავი ლ. ნ. ასათიანი.

⁂ ,,ტფილისის კრუჟოკი‘‘ საზამთრო სადგომში გადავიდა.

⁂ დღეს, 8 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის, სასამართლოს წევრის ვ. ვ. ბოლდირევისა, წევრის ე. ვ. ჩემესოვისა, ბრალმდებელის ამხანაგის ნ. ა. ტარსაიძისა, მდივნის გ. გ. ოვსიანიკოვისა და თარჯიმანის ლ. ი. შატბეროვისაგან ქ. თელავსა, ზაქათალასა და სიღნაღში წავიდა სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად. სესსია 31 ოქტომბრამდე გასტანს.

⁂ რადგანაც ახალციხის სამაზრო ბეითალი გორის მაზრაში იქმნა გაგზავნილი, სადაც ძალიანაა გავრცელებული საქონლის ჭირი, ახალციხის მაზრის უფროსმა სთხოვა უმაღლესს მთავრობას, რომ სხვა ბეითალი გამოგვიგზავნეთ საქონლის ჭირის მოსასპობად, რომელიც ჩვენის მაზრის მახლობელ სოფლებში გაჩნდაო.

⁂ არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა ლაპარაკი იმის შესახებ,რომ სოფლის საზოგადოებანი ძალიან აწვალებენ მასწავლებლებს და თავის დროზედ ჯამაგირს არ აძლევენო. ეხლა, როგორც გაზ. „ახ. მიმოხ.“ იუწყება, კავკასიის სამოსწავლო მთავრობამ ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა უნუგეშო მდგომარეობას და განიზრახა დააწესოს დასამატი სასოფლო გარდასახადი, რომელიც უნდა უდრიდეს მასწავლებელთა მომავალის წლის ჯამაგირის ნახევარს. ეს დამატებითი გარდასახადი სათადარიგო თანხის მაგივრად იქნება და ამ თანხიდგან იქმნებიან უზრუნველ-ყოფილნი მასწავლებელნი და სკოლებიო.

⁂ გაზ. ,,კავკაზს‘‘ ატყობინებენ გორის მაზრიდგან, რომ ამ დღეებში აქ შეიპყრეს ყაჩაღი საგილო ვანეშვილი, რომელიც თედეშვილისა და გაგალაშვილთან ერთად დათარეშობდა. საქმე აი როგორა ყოფილა. ცხინვალის ბოქაულს შეატყობინეს თურმე, რომ ყაჩაღი ვანეშვილი ჯავის ხეობაში არის, იქ ტყეში იმალება სოფ. ელბაქიანთ კარის მახლობლად და ხშირად ტიბილაშვილის სახლში დაიარებაო. ბოქაულმა ოთხი ჩაფარი მოიწვია და იმ დღესვე გაუდგა გზას.მისულან თუ არა საბა ტიბილაშვილის სახლთან, ბოქაული კარებისაკენ წასულა და იქ ვიღაც ოსი დაუნახავს, რომელიც საგილო ვანეშვილი აღმოჩნდა. ყაჩაღი მაშინვე გაუკავებიათ, იარაღი აუყრიათ და გორის საპატიმროში გაუგზავნიათ.

ქალაქის საბჭო.

6 ოქტომბერი

კრება დაიწყო 8¼ საათზედ. ამ დღეს აუარებელმა გარეშე ხალხმა მოიყარა თავი. კრების დაწყებამდე ქანდარა უკვე სავსე იყო. წინანდელი კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ საბჭომ მოისმინა იმ ხმოსანთა სია, რომელნიც წარსულ 15, 22 და 29 სექტემბრის კრებებს არ დაესწრნენ. საბჭომ კანონიერად სცნო მიზეზი იმათის დაუსწრებლობისა.

შემდეგ ქალაქის თავის აღმასრულებელმა წაიკითხა ხმოსანის ე. თ. ბურგარდტის განცხადება, ხმოსნობის თანამდებობიდგან განთავისუფლების შესახებ. თავის განცხადებაში ხმ. ბურგარდტი სწერს, რომ არ შემიძლიან ქალაქის საბჭოს ხმოსნობა, რადგანაც დრო არა მაქვს ყოველ კრებას დავესწრო და საერთოდ მონაწილეობა მივიღო ქალაქის საქმეებშიო. საბჭოს კრება კვირაში ერთხელა ჰქონია და მე-კი ორ კვირაში ერთხელ მეგონა და ამიტომ განვაცხადე პირველად ხმოსნად ყოფნის თანხმობა, თორემ მაშინვე უარს ვიტყოდიო. ამიტომ გთხოვთ განმათავისუფლოთ როგორც ხმოსნობისა, აგრეთვე თავმჯდომარის თანამდებობიდგანაო. ამასთანავე ზოგიერთმა ხმოსნებმაც განაცხადეს, რომ ბურგარდტს სამსახური ნებას არ აძლევს ორშაბათობით კრებას დაესწროსო. საბჭომ შეიწყნარა ე. თ. ბურგარდტის თხოვნა.

შემდეგ კრება შეუდგა საბჭოს თავმჯდომარის არჩევას. კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ: პ. ა. ოპოჩინინი, კ. ნ. რეიტერი, ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ნ. ნ. ოსტროგორსკი, მ. ი. თამამშევი და თავ. ა. ვ. ბებუთოვი. ყუთები დაიდგეს მხოლოდ ოპოჩინინმა და რეიტერმა. ამოუვიდა ოპოჩინინს—42 თეთრი და 27 შავი, რეიტერს—53 თეთრი და 16 შავი. ამ რიგად თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კ. ნ. რეიტერი.

ბოლოს საბჭო ქალაქის მოურავის არჩევას შეუდგა. დასახელებულ იქმნენ კანდიდატებად: გ. გ. ევანგულოვი (36 ხმით), თავ. გ. მ. თუმანოვი (30 ხმ.), კ. მ. ალიხანოვი (2 ხმ.), თამამშევი (1 ხმ.), ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი (1 ხმ.) და ივ. ხაჩატუროვი (1 ხმ.). ბ-ნ ხაჩატუროვის ხსენებაზედ საბჭოში საერთო სიცილი გაისმა. ალიხანოვმა, თამამშევმა და არღუთინსკიმ უარი განაცხადეს და ამ რიგად ყუთები დაუდგეს მხოლოდ გ. გ. ევანგულოვს და თავ. გ. მ. თუმანოვს, მაგრამ როდესაც ყუთები დადგეს და რამდენმამე კაცმა უკვე კენჭი ჩააგდო, თავ. თუმანოვმა უარი განაცხადა და კრებიდგან წავიდა. ამ გარემოებამ დიდი კამათი და ლაპარაკი გამოიწვია ხმოსანთა. სთქვა თუ არა თავმჯდომარემ, რომ თავად თუმ.ნოვმა ყუთის დადგმის უარი განაცხადაო, ხმოსანთ ისეთი ხმაურობა ასტეხს, რომ ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი იძულებული გახდა კრება შეეჩერებინა და კამათის ნება მიეცა.

ხმ. პ. ა. ოპოჩინინი. ჩემის აზრით ხელ-ახლად უნდა იქმნან დასახელებულნი კანდიდატები და კენჭის-ყრაც ხელ-მეორედ დაწყებული. კენჭის ყრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ერთი ყუთი სდგას, თუ ორი. თუ ერთი ყუთი სდგას, შეიძლება ზოგიერთმა ხმოსანმა თეთრი კენჭი ჩააგდოს, ხოლო როდესაც მეორეც არის, იმავე ყუთს შავი კენჭი ჩაუგდოს.

ხმ. მ. ი. თამამშევი ამავე აზრისაა და აცხადებს, რომ გაცილებით სამართლიანი იქმნება არჩევანები თავიდგან დავიწყოთო.

ხმ. დ. თ. ტიგრანოვი. გთხოვთ შეგვატყობინოთ კანონში არ არის ნაჩვენები ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქალაქის საბჭო, როდესაც კანდიდატი კენჭის ყრის დროს უარს განაცხადებს.

ხმ. პ. ა. ოპოჩინინი. კანონი კენჭის ყრის შესახებ პირდაპირ არაფერს ამბობს, ამიტომ კანონი ვერაფერს გვიშველის. ხოლო ამ შემთხვევაში ყველასათვის აშკარაა, რომ კენჭის ყრა ხელ-ახლად უნდა იქმნას დაწყობილი, რადგანაც იმათ, ვინც თავ. თუმანოვის კანდიდატურა წამოაყენეს, აღარ იციან როგორ მოიქცნენ და ვის ჩაუგდონ კენჭი, რომ სცოდნოდათ, საქმე ასე წავიდოდა,ისინი სხვას დაასახელებდნენ კანდიდატად.

ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი. ჩვენ თუ დღეს არ ამოვირჩიეთ ქალაქის მოურავი, მაშინ ერთ დღეს დავკარგავთ და მხო-

---

გიორგის ძროხის კურატი მიართვი და მაშინვე გაასაღებსო, და ვინ მოსთვლის კიდევ რა არ ეთქვათ და ერჩივნათ კუდ-ბაწარა სათოკე მკითხავებს.

გიოს რაც-კი რამ ფული ებადა მოჯამაგირობით ნაშოვნი, სულ მკითხავ-ქადაგებზედ და იმათგან ნარჩევ შინა-საწირავებზედ გადააგო, ბოლოს ყველის გუდასავით გატენილ თავიანთ სოფლის მამასახლისისაგან თუმანი თვეში ექვშაურ სარგებლით ისესხა, იყიდა ძროხაც და შეუთქვა კურატად გავაზის წმინდა გიორგს; დანიშნეს თელეთის წმინდა გიორგისათვის მისართმევად ქათმის მზვარებიც, შაუკერეს ავადმყოფს თეთრი მიტკლის კაბაც, დაალევინეს მკითხავ-ქადაგთა ნალოცი წყალიც, შეაბეს მაჯა-ყელზე შანა-ჯვრებიც, მაგრამ მაინც დილიმზეს არა ეშველარა და დღითი-დღე უფრო უკან-უკან მიდიოდა უწამლობით და მოუვლელობით.

— აი შაგირცხვეთ ადამიანობა, რო ოცი წელიწადია სიმართლეს გასწავლით, ჭკვაზე გარიგებთ, ქრისტეს ნაბრძანებს გიქადაგებთ და, არიქნა, მე თქვენ ვერ მოგარჯულეთ, მტრისა და მოყვრის ცნობა ვერ გასწავლეთ, კეთილისა და ბოროტის სიავკარგე ვერ შეგაგნებინეთ, ისიც-კი არა გწამთ და გჯერათ,როდესაც გეუბნებით: ალაზანი თავ-დალმა მიდის-მეთქი, ქვეყნის დამღუპავ მკითხავ ქადაგებს-კი ასე ადვილად უჯერებთ ყველას და აი თქვენი უმეცრებით სიკვდილის პირამდის მიგიყვანიათ საბრალო ვარდივით ქალი! ასე გულნატკენად უსაყვედურა მოძღვარმა სიძე-სიდედრს, როდესაც გონ-დაკარგული დილიმზე აზიარა და გაიგო: მკითხავს წამლის დალევა აეკრძალებინა დილიმზესათვის.

— ზეციერო მამაო, შემიწყალე და მაცხონე, ეს რას მოვესწარ, რა ქვეყანა გახდა! სადღაა ხალხი, სადღა არიან მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, დღეს ყველანი კერპთ-თაყვანისმცემელნი არარჯულნი გამხდარან: მოძღვრისა და კეთილი კაცებისა არა სწამთ რა, მკითხავ-ქადაგებს და ათას ქვეყნის ჭამია სათოკე გაიძვერებს და ძაღლის რძით გაზდილ სატანა-მაცდურებს უჯერებენ, იღუპებიან იმათგან, მაინც სიმართლისა არა სწამთ-რა, და კიდევ მავნე ქაჯ-ეშმაკებს ასდევენ და უჯერებენ თავის დასაღუპად—აი ჩვენი ბეჩავ-რეგვენი, ურწმუნო და საბრალო ხალხის ცოდნა და ცხოვრება!.. ერთი მურდალი თაგვი სამ-საპანიან ქვევრს წაჰმურდლავსო, ერთი ქეციანი ცხვარი მთელ ფარას გააქეციანებსო, ერთი ცოფიანი ძაღლი მთელ სოფელს დასცოფავსო და ერთი კუდიანი ეშმაკი ქვეყანას გადაჰრევსო და, ღმერთო უფალო! ვინ მოსთვლის, რამდენი მურდალი თაგვი, რამდენი ქეციანი ცხვარი, რამდენი ცოფიანი ძაღლი და რამდენი კუდიანი ეშმაკი მოიპოება ყველგან საქართველოში ბეჩავ-უვიცის ხალხის დასაღუპად!.. ო, მეუფეო, ზეცათაო, შენ მოგვივლინე ყველგან მებრძოლე-უკვდავი გმირები, რათა მათ მიწასთან გაასწორონ ავი-ბოროტი, მავნე-მაცდურნი სულნი და იხსნან ბეჩავი ხალხი ამ ქაჯ-ეშმაკებისაგან, ვითარცა იხსენ შენ იონა წინასწარმეტყველი პირისაგან ვეშაპისა! შუბლ-შეჭმუხვნით მილაპარაკობდა სოფლის უკაცურ ვიწრო ორღობეში გაიანეს სახლიდამ მიმავალი მოხუცი მოძღვარი.

სიძე-სიდედრი განუშორებლივ ისხდნენ დილიმზეს გვერდით და მდუღარე ცრემლად იღვრებოდნენ დღე და ღამ, მაგრამ ძალზე მიხრწნეულ დილიმზეს, რომელიც ჩამავალ მზის უკანასნელ სხივივით ჰქრებოდა ამ ქვეყნიდამ, აღარ ესმოდა იმათი ენით-გამოუთქმელად გულდამთუთქი ქვითინი სისხლის ცრემლით ნამტირალი გულისა.

— მაჰყავ, მაჰყავ!—შემორბენის უმალვე შემოიძახა მეზობლის პატარა ბიჭმა.

დიაღ, მხოლოდ ეხლა მოჰყვანდათ მოძღვრის საყვედურის გამო დილიმზესთან ის ექიმი ,,შალთაიბალთაი‘‘, რომელიც პატარობიდგან ტფილისში დოქტორთან ყოფილა ბიჭათ, მერე ქიზიყში მოსულა, და ბოლოს იქამდის მიუღწევია თავის ექიმობით, რომ დღეს იმ ექიმ-კარაპეტას ბანკში ათას თუმნამდის ფული აქვს,მისი უფროსი ვაჟიშვილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, უმცროსი ქალ-ვაჟი გიმნაზიაში და თითონაც ბატონურად ცხოვრობს თავის მეუღლე შუშანათი თავისავე საკუთარ, მშვენიერ ქვითკირის სახლებში. ექიმი კარაპეტა მეტის-მეტად თავხედი, წინდაუხედავი, ღვინის მოყვარე და ყბედი კაცია და ამისათვის ხალხს ,,შალთაიბალთაი‘‘ დაურქმევია მისთვის მეტ-სახელად.

— ეს არის ავანტყოფი?—შემოსვლის უმალვე იკითხა ბრგე-წამოსადეგმა და წითლად ჩაჟინჟღილებულმა ექიმმა და დაუწყო მიხრწნეულ დილიმზეს მაჯის შინჯვა.

როდესაც კარაპეტამ დაწვრილებით გამოიკითხა ავადმყოფის ამბავი და გაიგო ყოველივე, საშინლად გაჯავრდა და დაიწყო ყვირილი:

— ვა, რომ ვამბობ, განა ვტყუი: ვირები ხართ ქართველები, ვირები! არა, თქვე ოხრებო, ღმერთი არა გაქვთ, პირჯვარს არ იწერავთ, მირონი არ გიცხიათ, ხატზე არა ჰლოცულობთ, ჯვარ-სახარებას არა ჰკოცნით, რომ ასეთ პაწაწინა-ქორფა ქალებს ათხოვებთ და ვეება ვირისთავ, ვირაქლემა კაცებს ჰრთავთ?!.

— რა ვქნათ, შენიჭირიმე, კარაპეტ, ეგეთი ადათი და ჩვეულება გვაქვ სოფლის ხალხს, და ეხლა ჩვენ ხო ვერ მოვშლით მამა-პაპის ადათს, —ღრმა ამოოხვრით უთხრა თვალცრემლიანმა გაიანემ.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, კარაპეტ!... ჯანაბა ქენით და ჯოჯოხეთი თქვენი თავისათვინ! არა, თქვე მუნდრეგ-ოხრებო, ხალხი ხართ თუ ოთხ-ფეხი საქონელი, რომ თქვენი დამღუპავი ადათი ვერ მოგიშლიათ?! თქვენი მამა-პაპა ვირები იყვნენ და თქვენც ვირბალახა უნდა სჭამოთ, როდესაც გამტკიცულს გიდებენ ყბაში: აჰა, ცეცხლეთო?! თავზე იმდენი თმა არც-კი მექნება, რაც ჩემს ორმოცის წლის ექიმობაში ამნაირად, უდროვო ქმრიანობისაგან დასნეულებული პატარა ქორფა სოფლის ქალები მინახავს, იმათში ნახევარზე მეტი დახოცილა, და ვინც გადარჩენილან კიდევ-და, ვაი იმისთანა გადარჩენას: კატიკნუტებივით დალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ერთი არჩევანი-ღა დაგვრჩება ქალაქის მოურავის ამორჩევისათვის. ამიტომ უნდა ვეცადნეთ დღესვე გავათავოთ ეს საქმე.

ხმ. კ. მ. აბაშიძე. სრულიად სამართლიანადა ჰბრძანებს თავმჯდომარე, რომ უეჭველად დღესვე უნდა გავათავოთ ეს საქმე, თორემ მეორე კრების დროსაც რომ ასეთი საქმე მოხდეს და ვერ ამოვირჩიოთ ქალაქის მოურავი, შემდეგ ამ უფლებას სულ დავკარგავთ. აქ ბრძანეს, რომ მეორე კანდიდატს დავასახელებთ და კენჭი ხელ-ახლად უყაროთო, მერე ვინ არის თავდები რომ, ის ახლად დასახელებული კანდიდატიც ისეთი სულ-მოკლე არ აღმოჩნდება, როგორიც თავ. თუმანოვია, და სწორედ კენჭის ყრის დროს უარს არ განაცხადებს. ასე ხომ დასასრული არ ექმნება საქმეს.

ხმ. ა. ს. ბაზოვი. თავ. თუმანოვმა წინადვე განაცხადა ყუთის დადგმის უარი, ამიტომ საკვირველია რად გვიშლიან ახალის კანდიდატის დასახელებას. ჩვენ უკვე გვყავს მხედველობაში მეორე კანდიდატი და იმის დასახელების უფლებას ვერავინ წაგვართმევს.

ხმ. შახ-აზიზოვი. ხმ. ბაზოვი მუდამ კომედიას თამაშობს და ეხლაც უცნაურს რასმე ამბობს... (სიცილი).

ხმ. ბაზოვი. კომედიას თქვენა თამაშობთ და მუდამ თქვენ უშლით კრებას (ასტყდება საერთო ყვირილი. არა ისმის-რა).

ხმ. ი. ა. სუმბათაშვილი. კანონში არსად არ არის ნაჩვენები რა დროს შეუძლიან იმას, ვისაც კენჭს უყრიან, უარი განაცხადოს?

თავმჯდომარე. არ არის.

ხმ. მ. ი. დოლუხანოვი. რადგანაც არ არის, ამიტომ ყველაფერი თქვენგანაა დამოკიდებული, როგორც თქვენა გსურთ, ისე გადაწყვიტეთ საქმე.

ხმ. ნ. ა. ხუნდაძე. ძალიან საკვირველია, რად ართმევენ ახალის კანდიდატის დასახელების უფლებას იმ ხმოსანთ, რომელთაც თავ. თუმანოვი დაასახელეს, ჩვენ ეს უფლება გვაქვს და ამიტომ არჩევანები ხელ-ახლა უნდა დავიწყოთ.

ხმ. ა. ა. იონნესიანი. დღეს ჩვენ ქალაქის მოურავს ვეღარ ამოვარჩევთ. ეს საღამო ჩვენთვის დაკარგულია. ამიტომ ვეცადნეთ შემდეგისთვის მაინც მოვემზადნეთ, რომ ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

ქალ. თავ. თან. აღმასრულებელი. ეხლა როდესაც მოვისმინე ხმოსანთა აზრი, ვსარგებლობ თავმჯდომარის უფლებით და კენჭის ყრას განვაგრძობ, ხოლო წინდაწინვე თავ. თუმანოვის ყუთს ავაღებინებ.

ამ რიგად კენჭი უყარეს მხოლოდ გ. გ. ევანგულოვს, რომელიც 38 ხმით 34 ხმის წინააღმდეგ არჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად.

კრება დაიშალა საღამოს 11 საათზედ.

რუსეთი

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მიჰმართა სახელმწიფო საბჭოს და სთხოვა მომავალ წლისათვის ფული: უმაღლესს სასოფლო-სამეურნოე სასწავლებლებისთვის—193,668 მ., საშუალო სამეურნოე სასწავლებლებისთვის—250,823 მ. იმ სასწავლებლებისათვის, რომელსაც ინახავს სამინისტრო ერობასთან ერთად—51,071 მ. დაბალ სამეურნოე სასწავლებლებისთვის—169,950 მ. იმ სასწავლებლებისთვის, რომელსაც ინახავს სამინისტრო სხვა დაწესებულებასთან ერთად—296,111 მ., კერძო პანსიონებისთვის—60,500 მ., სამეურნოე სასწავლებლებისთვის მასწავლებელთა მოსამზადებლად—9,000 მ., სასოფლო-სამეურნოე კურსებისთვის—18,950 მ. და მოწაფეების გასაგზავნად ადგილობრივ საქმის შესასწავლებლად—20,000 მან.

— რუსი პროფესორი აკადემიკოსი ივანე პავლეს ძე მერჟეევსკი არჩეულ იქმნა საფრანგეთის სამკურნალო აკადემიის წევრად—კორესპონდენტად.

— ყველა იმ გუბერნიაში, რომლების სკოლებსაც განაგებს პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველობა, ამ ჟამად ჰკრეფავენ საჭირო ცნობებს, თუ რამდენი ყმაწვილი არა სწავლობს სკოლაში და რამდენს არ უსწავლია წერა-კითხვა 20 წლისაზე ახალგაზდას. ამ ცნობათა შეკრების შემდეგ აღმოჩნდება, რამდენი ახალი სკოლა უნდა დაარსდეს ამ გუბერნიებში და ეს ანგარიში წარედგინება თითოეულ გუბერნიის ერობას.

უცხოეთი

ბოლგარია და ოსმალეთი. ბოლგარიისა და ოსმალეთის შორის დამოკიდებულება დღით-დღე მწვავდება. ოსმალეთი უკმაყოფილოა სხვათა შორის იმიტომაც, რომ ბოლგარია სიმაგრეებს აშენებს ფილიპოპოლში და საერთოდ, თითქოს რაღაც საქმისთვის ემზადებაო, საზღვრებს ამაგრებს. გაზეთების სიტყვით, სოფიაში მხოლოდ ამ რამდენისამე ხნის წინად მიაქციეს ყურადღება ფილიპოპოლს და მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ომის დროს ამ მხარეს ისეთივე დღე დაადგება, როგორიც თესალიას დაადგა. აი, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა გაამაგროს ფილიპოპოლი. მაგრამ ისე-კი, რომ სხვამ არავინ გაიგოს. მართლაც ამ ბოლო დრომდის საქმე კარგად მიდიოდა და ოსმალეთს იქნებ სულაც არ გაეგო ბოლგარების ეშმაკობა, რომ სიმაგრეების აგებას ძალიან ბევრი ცემენტი არ დასჭირებოდა. ცემენტს ბოლგარია საზღვარ-გარეთიდგან იწერდა, ოსმალეთმა ამას ყურადღება მიაქცია და ბოლოს გაიგო კიდეც რისთვისაც ხმარობს ბოლგარია ცემენტს. ამ გარემოებამ კონსტანტინეპოლში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია და სულთანმა კიდეც მოითხოვა, რომ ბერლინის ხელ-შეკრულების ძალით მუშაობა შეჩერებულ იქმნას. თავადმა ფერდინანდმა შეატყობინა სულთანს, რომ სრულებითაც არა გვსურს ბერლინის ხელ შეკრულების დარღვევა, ხოლო რაც შეეხება სიმაგრეებს, იმათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგანაც ისინი ჯარის სწავლებისთვის გვინდაო. სულთანი ამით არ დაკმაყოფილდა, მით უმეტესს, რომ ბოლგარიამ მუშაობაზედ ხელი არ აიღო და ამიტომ მან გადასწყვიტა უფრო სასტიკი ღონე იღონოს ბოლგარიის წინააღმდეგ.

დამაკვირდი

როდესაც ღმერთნი უფრო ადამიანურნი იყვნენ, ადამიანთაც ღვთაებრიობა მეტი ჰქონდათ.

შილერი

* * *

ყველამ იცის, როგორც საზიზღარა და მართებული ცხოვრება, მაგრამ მაინც უწინდელებრ განაგრძობენ სიცოცხლეს.

უზ

* * *

როდესაც ვნებანი გვტოვებენ, გვინდა დავარწმუნოთ ჩვენი თავი, რომ ჩვენ განვიშორეთო.

ლაროშფუკო

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, როგორ მალე გამოიფხიზლა ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში იაპონიამ, რა მალე შეითვისა ევროპის ცივილიზაცია. იაპონიამ გამართა რკინის გზები, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვ. ეჭვი არ არის, რომ იაპონიის თეატრის საქმეც ასე თუ ისე წინ წავიდოდა. იაპონიის თეატრის საქმე მართლა რომ შესანიშნავად არის ეხლა მოწყობილი. საყურადღებო ის არის, რომ როგორც სხვა საქმეში, ისე თეატრის საქმეშიაც იაპონელები თუმცა სცდილობენ წაჰბაძონ ევროპიელებსა და ამერიკელებს, მაგრამ თავიანთს ზნე-ჩვეულებასა და გემოვნებას არ ჰკარგავენ. ავიღოთ მაგალითად ის გარემოება, რომ იაპონელებმა ევროპიული ტანთსაცმელი არ შემოიღეს, არც ერთი იაპონელი ქალი არ ჩაიცვამს კორსეტს და ევროპიულს ახალ მოდის კაბას. ჩვენი ტანთსაცმელი საჯობიანო, ამბობენ იაპონელები. ასე მოხდა თეატრის საქმეშიაც. თუმცა თეატრს დიდი წარმატება დაეტყო იაპონიაში, მაგრამ ეროვნულს ხასიათს-კი მაინც არ უღალატა.

თეატრი იაპონიაში დაარსდა ჯერ ისევ 1603 წელს. ამ წელს ქალაქ კიოტოში მოვიდა ქალთა დასი ახალგაზდა და მშვენიერ ქალის ოკუნის მეთაურობით. ტურფა ოკუნი თითონაც თამაშობდა და პიესებსაც სწერდა. ეს მშვენიერი ქალი ოკუნი ეხლაც ახსოვთ იაპონიაში და ასე ამბობენ, თეატრი ამ ქალმა დაგვიარსაო. ოკუნის დასი დადიოდა ქალაქებში, მართავდა წარმოდგენას და ყველანიც მადლიერნი იყვნენ ამ დასისა. განსაკუთრებით მოსწონდათ ეს წარმოდგენები იედოსა, კიოტოსა და ოზაკში. იედოში მაინც ძლიერ უყვარდათ ისტორიული დრამები. უფრო ხშირად წარმოდგენის შინაარსს დრამატურგები იღებდნენ ფეიკემანოგატარიდგან (ფეიკეს დინასტიის ისტორია) ისტორიულ პოემიდგან, რომელიც დასწერა მეთორმეტე საუკუნეში პოეტმა იკინაგამ. ქ. ოზაკასა და კიოტოში უფრო ტრაგედიები მოსწონდათ. ამ დროს თეატრის საქმე ძლიერ კარგს ნიადაგზედ იდგა იაპონიაში, მაგრამ შემდეგმა გარემოებამ შეუშალა ხელი. მთავრობამ ორი ბრძანება გამოსცა: თეატრში შესვლა იარაღით აკრძალულ იქმნა და ქალებსაც აეკრძალათ სცენაზედ თამაშობა. პირველს განკარგულებას ის შედეგი მოჰყვა, რომ იაპონიის დიდ-კაცობამ, თეატრში სიარულს თავი დაანება, რადგანაც არ უნდოდა თეატრში შესვლის დროს იარაღი შემოეხსნა. დიდკაცობას თეატრი შეეჯავრა კიდეც. ისე იქცეოდნენ, თითქოს არც კი ვიცით, იაპონიაში თეატრი არის, თუ არაო. პირველად თეატრის დირექტორები ძლიერ შეაწუხა ამ გარემოებამ, მაგრამ მერე ასე სთქვეს: უკეთესია, რომ თეატრში დიდკაცობა არ დადის, რადგანაც ხშირად მოსდიოდათ ხოლმე აქ ჩხუბი და ხანდახან სისხლიც იღვრებოდაო.

დიდკაცობის უარმა თეატრზედ მხოლოდ შესცვალა თეატრის ხასიათი და ელფერი. უწინ თეატრი სკოლა იყო ხალხისთვის და ეხლა კი გასართობ და შესაქცევარ ადგილად გადაიქცა. სცენაზედ ნახავდა კაცი

ცალებული ნადიტა შვილები ჰყოლიათ და თითონაც სულ სნეულები ყოფილან მთელ სიცოცხლეში. ამის მნახავი, მე სულ ამას ვამბობ ხალხში: ჯანაოზ ექიმის კარაბადინშიაცა სწერია და მეც დამიჯერეთ: ნუ ათხოვებთ თორმეტ-ცამეტი წლის ქალებს, ცოდონი არიან, დასნეულდებიან და დაიხოცებიან-მეთქი, მაგრამ ვირები რომ ხართ ქართველები და არ გესმით კარგი სიტყვა, აბა მე რა გიშველოთ, თქვენი მოკლულები როგ ორ ღა გავაცოცხლო, ქრისტე ღმერთი ხომ არა ვარ!..

— ი შენი კარგი ცოლ-შვილის ჭირიმე, კარაპეტ, უშველე, თუ ეშველება რამე ჩემს დედის ერთა დილიმზეს, ჩემი შავ ბნელი სიცოცხლის მზე-მთვარეს, სიხარულსა და ნუგეშს—და გაგვიხადე ყმათ!-გულ ამღურებული ქვითინით ევედრებოდა გიანე.

— უშველე!.. ვა, რას ტუტუცობ, რეებს ბოდავ, ნარდი ხომ არ არის რომ უწამლოდ ვუშველო, არ იცი, რომ ამნაირ მძიმე ავანტყოფს სულ, ისემე კარგი და კარგი ძვირფასი წამლები უნდა, რომ ეგები როგორმე გამოცოცხლდეს.

— უნდა და ვიყიდით, შენი კვნესა მე, და ჩვენც შენი ყმები გავხდებით, თაქ გვიშველე რამე, კარაპეტ, ვიღუპებით!.. მდუღარე ცრემლთა დენით ეხვეწებოდა გიო.

— ვიყიდით!.. ტუტუცი ქართველებო, ნუ ხართ მეთქი და, თქვენ ვეღარ შეგასმინეთ-რა. ვირმა წიხლი მოიშალა, გველმა—კბენა, ეშმაკმა—ღალატი, დათვმა გალობა ისწავლა, მუტრუკმა—ჩონგურზე დაკვრა, ღორმა—არზების წერვა, და თქვენ კი ვერა ისწავლეთ-რა. არა, თქვე ოხრებო უნდა იყიდოთ, მარა აქ თქვენს ლეღვებს ხომ არ ასხია წამლები, რომ იმათზე დაკრიფოთ, ან მამი ჩემის ქელეხის შილაფლავი ხომ არ არის წამლები, რომ მუქთად არიგებდნენ. ვიყიდით კი არ უნდა გეთქვა, შე დათვო, უნდა ასე გეკითხნა: ბატონო კარაპეტ მინეიჩ! რამთენი მანათის წამალი მოგვინდება-თქო, და მეც გეტყოდი: სულ უკანასკნელად ერთი თუმანი მაინც უნდა მომცე ეხლავ, ჩემო ტეტიკავ, რომ აფთექიდამ საჭირო წამლები მოვატანინო და შინ კიდევ სხვა და სხვა ნაირი ჩემი წამლებით შევაზაო, როგორც უნდა-მეთქი.

კიდევ ბევრი იყბედა და იჯავრა შალთაი ბალთაიმ თავისებურად, მერე გამოვიდა გაიანეს ქოხიდამ, ოცის წლის ჭაბუკის სიმარდით მაოჯდა თავის რაშივით ლურჯას, ოდნავ შემოჰკრა მარჯვენა ფეხის ქუსლი, ნიავ ქარივით გააქროლა გამალებულის იორღით და აღფრთოვანებულად ამოიღიღინა გრძნობით სავსე ნელ-ტკბილ ხმაზედ შემდეგი: „შენც ლამაზი, მეც ლამაზი, კეკელჯან! ტარნანინა, რაჰნანინა, რაჰნინა“!..

აქიმის წასვლის უმალვე ბევრი იარა გიომ თუმნის საშოვნელად, მაგრამ არავინ ასესხა. ჩარა-გაწყვეტილებმა იმავ დღესვე მედუქნე გალუსტას ერთი ქვაბი, თოფი, საბანი და ჩოხა დაუგირავეს, ერთი თუმანი გამოართვეს თვეში ათშაურ სარგებლით და მაშინვე შალთაი-ბალთაის წაუღეს სახლში წამლებისათვის.

წმინდა გიორგის ტაძრის შემოდგომის ხასხასა მწვანით-მოსილ ფერდობზე, რომელიც თავს დაჰყურებს სოფელ სააჯმეთს, შაოსანი ხალხი შეფენილიყო და შაოსნების წინ მიცვალებულს მიასვენებდნენ მძიმე-მძიმედ წითელის კუბოთი, რომლის აჭრელებულად მოვლებული ბუზმენტები ბზინვარე ოქროსავით ბჟყვრიალებდნენ შორიდამ მზის სხივებზედ და პატარა ზარის სამგლოვიარო ხმა შორით-შორამდე გაისმოდა წმინდა გიორგის მთის კორწოხიდამ: ტიიინ! ტიიინ! ტიინ!..

— კაცებო, ეს მიცვალებული ვინ არი, ე?—იკითხა სამიკიტნოს წინ თავ მოყრილ ხალხში ერთმა ახლად მინდვრიდამ მოსულმა მეცხვარემ.

— დილიმზე,—უპასუხეს აქათ-იქიდამ.

— დილიმზე?! ბიჭოს! რას ამობთ, ე! მოკვდა, კაცო? ოვე, ოვე! აფსუს ქალო, ქვეყნის თვალო! ის ქალი-კი არა, ლურჯი ციდამ მოწყვეტილი კაშკაშა დილის ცისკარი იყო, ცისკარი! ჰეჰე, აბა რა ვართ თვალ-გულ-გაუმაძღარი ადამიანები, რისათვინა ვძულდებით ერთმანეთს და რატო არ გვესმის: დღეს თუ ხვალ ჩვენც მიწა მტვრად ვიქცევით. ოხ! რა ქალი იყო, რა ქალი, მთის ვარდივით უყვავოდა ლოყები, ცეცხლივით უგიზგიზებდა თვალები და მარტო იმისი დანახვაც-კი ერთ სოფლათა ღირდა! თვალო ნუ დაინახავ, და ყურო ნუ გაიგონებ, როცა დილიმზეს კუბოს მიწას მიაყრიან და ქვაბელტოები ჯოჯოხეთის რახრახს აუტეხავენ!..

— ეჰ, სიკვდილი, შვილო, ღვთის ნებაა, ბედის-წერას ვერავინ ვემალებით და ყველას დილიმზეს დღე მოგველის დღეს თუ ხვალ: ერთ დღეს გაჩენილები, ერთ დღესვე დავიხოცებით და ყველა თავის სიმართლითა ვცხონდებით და სიმტყუნით წავწყმდებით ამ ქვეყნათაც და იმ ქვეყნათაც, მაგრამ ადამიანის შვილი სულისათვინ არასა ზრუნავს და თავის თავი უკვდავ-უბერებელი ჰგონია. შესაბრალისი დილიმზე-კი არაღი, ხალხო, იმან სიკვდილს თავის გადასახდელი ვალი გადაუხადა, მორჩა და მოისვენა საუკუნოდ, შესაბრალისი ეხლა გიოა: საწყალი, იმოდენა ურიის ვალ-ვახჩში ჩავარდა, რო მთელი თავის ძაღლუმადლო სიცოცხლეშიაც ვეღარ იკეთილებს, ვეღარ ამოუვა და ვეღარ დაეხწევა ჯერ მარტო თავნის უსულღმერთოდ ნაბღარტ სარგებლის სარგებელსაც კი!.. სთქვა ერთმა წელში მოღუნულმა ბერიკაცმა მწუხარე სახის გამომეტყველებით და ღრმა ამოოხვრით დაუმატა შემდეგიც:

— ჰეეეჰე! დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, საწყალი კაცი რა გასაჩენი იყო, რო გაგიჩენია ა ქაჯ-ეშმაკების წყეულ-ჯოჯოხეთ ქვეყანაში!..

— მართალს ამბობ, მართალს, ნინიავ, მე და ჩემმა ღმერთმა! ერთხმად მისძახეს აქათ-იქიდამ გლეხ-კაცებმა და გააბეს აურ-ზაურიანი, ლანძღვაგინებიანი და მუქარა-ღვარძლიანი ყატ-ყატი ათას საჭირბოროტო-სასოფლო საქმესა და ერთმანეთთან სადავიდარაბო შენ ჩემოობაზედ.

დ. მაჩხანელი

მხოლოდ ხოცვას, დუელს, თავის მოკვლას, მოწამვლას და სხვ. მაგრამ გარემოებამ მაინც ვერ შეუშალა ხელი იაპონიის თეატრს. კარგი არტისტებიცა ჰყავდათ იაპონელებს. ასეთი იყო სახელოვანი არტისტი ტაკემატოგოდენი (1693—1734), რომლის შესახებაც ამბობენ, ნიჭით არ ჩამოუვარდებოდა მთელს ქვეყანაზედ განთქმულს არტისტებს ტალმასა, კინს და გარრიკსაო.

ხოლო იმ გარემოებამ, რომ ქალებს სცენაზედ თამაშობა აეკრძალათ, თეატრს ხელი ვერ შეუშალა და პირიქით სასარგებლოც აღმოჩნდა თეატრის განვითარებისთვის. მართლაც და, როდესაც ქალები თამაშობდნენ სცენაზედ, თეატრი მხოლოდ ლამაზ კაბების გამოფენას წარმოადგენდა, იაპონიის არტისტები, ქალის კაბებით გამოწყობილნი უფრო უკეთესად თამაშობდნენ ქალებზედ. ამ დროს იაპონიის თეატრში წარმოდგენა იწყებოდა დილის 6 საათზედ და თავდებოდა საღამოს 6 საათზედ. რა თქმა უნდა, არტისტები ძლიერ იღლებოდნენ მთელ დღეს ფეხზედ დგომითა და თამაშობით. მაყურებელნი ისხდნენ სკამებზედ, სვამდნენ ჩაის, სწევდნენ თამბაქოს, მუსაიფობდნენ და იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ.

თეატრის საქმე დაქვეითებული იყო მთელის ორასის წლის განმავლობაში. 1868 წელს მიკადო მუტსუ იგუ განთავისუფლდა ტაკუნგავას მზრუნველობისაგან, გადაიტანა თვისი ტახტი კიოტოდგან ტოკიოს და გამოაცხადა, ამიერიდგან მე უნდა ვმართო სახელმწიფოს საქმეებიო. აი სწორედ ამ დროს დაიწყო იაპონიამ ყველა იმ დაწესებულების გადაღება ევროპიდგან, რომელიც-კი მოსწონდა. ამ გარემოებამ თეატრის საქმეზედაც იმოქმედა. აქამდე პირველი და საუკეთესო თეატრი ქ. ოზაკში იყო. ხოლო როდესაც ტოკიო სატახტო ქალაქად გადაიქცა, უმთავრესი თეატრიც იქ დაარსდა.

ტოკიოს საუკეთესო თეატრი, რომელსაც სახელად სანტომი ეწოდება, ძლიერ მშვენივრად არის გამართული, ასე რომ თვისის მოწყობილებით მეინინგენის შესანიშნავს თეატრს არ ჩამოუვარდება თურმე. იაპონელები მაინც კმაყოფილნი არ არიან, თეატრი კიდევ უკეთესად უნდა იყოს მოწყობილიო. იაპონელი ძლიერ განრისხდება და უმადური დარჩება, რომ სცენაზედ ხალხის ბრბოსა და ჯარის მაგივრად ოცი და ორმოცი კაცი ჰნახოს, ან თვისის თვალით არ დაინახოს, როგორ დასდის სისხლი დაჭრილსა და მოკლულს კაცს. სცენაზედ ყველაფერი ისეთის სინამდვილით უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც ნამდვილად ჰხდებაო, ამბობს იაპონელი. ამიტომ ერთმა კრიტიკოსმა სთქვა იაპონიის თეატრის შესახებ: „ეს სასიამოვნო ადგილი ჩვენ სწორედ ჯოჯოხეთად გადავაქციეთო“.

აი ერთი მაგალითი. სანტომის თეატრში თამაშობდნენ ერთს პიესას, რომლის შინაარსი აღებული იყო ჰოლანდიელთა ცხოვრებიდგან. წარმოდგენა სწარმოებს ნოემბერში. სცენა წარმოადგენდა მკურნალის ოთახს, რომელსაც ფანჯარა ბაღისაკენა ჰქონდა. ყოველივე საუცხოვო სინამდვილით იყო მოწყობილი სცენაზედ. ხალხს ესმოდა, როგორა ზუზუნებდა ქარი, მოდიოდა წვიმა და ხეებს ფოთოლი სცვიოდა შრიალით.

მეორე პიესის წარმოდგენის დროს მიწის ძვრა იყო გამართული ისე, რომ თეატრში დამსწრე ხალხმაც იგრძნო. ეს მიწის-ძვრა თეატრის მმართველებს ისე ხელოვნურად მოეხერხებინათ, რომ ერთმა კრიტიკოსმა სთქვა: „თვით ბუნება ვერ მოახერხებდა ასეთის სინამდვილითაო“.

რაც შეეხება არტისტებს, ისინიც სცდილობენ ყველაფერი დიდის სინამდვილით მოაწყონ. ერთს გამოჩენილს არტისტს, სახელად კიგურას უნდა ეთამაშნა იედდოს მახლობლად მდებარე ნავთ-სადგურთან მცხოვრებ მეთევზის როლი. რომ უფრო კარგად ეთამაშნა ეს როლი და ნათლად წარმოედგინა მეთევზის გარეგნობა და ხასიათი, კიგურო დასახლდა იედდოს მახლობლად მეთევზეებთან, მათთან ერთად თევზაობდა, დააკვირდა იმათ ცხოვრებას, გაიგო ყოველივე, რაც უნდოდა, მერე მოვიდა თეატრში, მოიხმო რეჟისორი და დეკორატორი და დაავალა, სცენა აი ასე მოაწყვეთ და ასეთი ტანთ-საცმელი მომიმზადეთო.

სანტომის თეატრის სცენა ისეა გამართული, რომ როცა საჭირო იქნება, სცენა მოტრიალდება და ერთს დეკორაციასა და მოწყობილებას მეორე მოსდევს. ანტრაქტები მხოლოდ თეატრში დამსწრე საზოგადოებისთვის არის. ამ მოწყობილების წყალობით იაპონიაში ისეთის სცენების წარმოდგენა შეიძლება, რომელსაც ევროპის ვერც ერთს თეატრში ვერ მოახერხებენ. მაგალითად, ერთს პიესაში, რომელსაც სახელად ეწოდება „შინშუიგურა“, სხვათა შორის, წარმოდგენილია ციხე-სიმაგრეს აღება. მოქმედება სწარმოებს დეკემბერში, თოვლი მოდის და ძლიერა ცივა. ღამეა. მტერს ქალაქში უნდა შესევა, მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვდება. მოაქვთ ცულები, წერაქვები და სხვა-და-სხვა მანქანები, ანგრევენ კედელს და ადიან ზევით თოკებისა და კიბეების შემწეობით. ამ დროს სცენა მოტრიალდება. მტერი უკვე ქალაქშია და ებრძვის მცხოვრებლებს. ყოველსავე ამას თურმე ისე ნათლად წარმოადგენენ ხოლმე თეატრში, რომ უკეთესი აღარ მოხერხდება.

◆◆

საწყობები, თუ „შუამავალის“ მაღაზია და საყასბო?

(„ივერიის“ მე-172 №-ში მოთავსებული ფელეტონის გამო).

ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან, რომ ჭეშმარიტების აღსადგენად ზოგიერთი რამ ნათქვამი უნდა განვიმეორო. რას იზამთ, როდესაც დაწერილსა და დასტამბულს სასაცილოდ ამგდები-კი ბევრი ჰყავს და ამათში გულ-მოდგინედ წამკითხველი-კი არც ერთი. დაცინებისა და გაკიცხვის საღერღელი იქამდის აშლილი აქვთ, რომ თითქმის წაუკითხავად დაიცინებიან და ჰკიცხავენ. აზრების შეჯიბრება ძალიან სასიამოვნო მოვლენაა მწერლობაში, მაგრამ ყოველი სიამოვნება გესპობა და მაგიერად შენც გაწუხებს და სხვასაც, როცა, აზრების შეჯიბრება-კი არ არის, არამედ შეუფერებელი და დაუმსახურებელი კიცხვა-კილვაა და სხვა არაფერი.

„ივერიის“ მე-172 №-ში მოთავსებულია ფელეტონი. „შუამავალი ამხანაგობა, თუ მთავარი დეპო“ ერთის მოწილეთაგანისა. ფელეტონი შეიცავს 15 სვეტსა, აქედამ სამ სვეტში გაკვრით არის ლაპარაკი აღძრულის საკითხზედ და 12 სვეტი კიცხვა კილვას შეიცავს.

ბ-ნს ერთ მოწილეთაგანს წაუკითხავს ჩემი წერილები „ცნობის ფურცლის“ მე-211, 221 და 237 №№ ში „სავაჭრო ამხანაგობები“-ს სათაურით დასტამბულები, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, კი არ წაუკითხავს, ან შორიდგან მოუკრავს თვალი, ან სხვას უამბნია. თუ არ ამით, მაშ რითი აიხსნება ან ისა, რომ ჩემს წერილებს ფელეტონებს ეძახის, თუმცა არც ერთი ფელეტონად არ არის დასტამბული და ის-კი ოთხჯერ ფელეტონებად იხსენიებს. ხომ არ შეიძლება დავწამოთ, რომ ფელეტონს, არ იცოდეს, სხვა რომ არა ვთქვათ-რა, რომელი ადგილი უჭირავს გაზეთში; ან ისა, რად მოუნდა ბ-ნს ერთ წევრთაგანს გაკიცხვა იმ წერილებისა, რომლებშიაც დიდი მომხრეობა არის გამოთქმული „შუამავლისა“, თითონაც ხომ მომხრეა „შუამავლისა“. ჩემს წერილებში მე ის აზრი გამოვთქვი, რომ პროვინციაში სავაჭრო ამხანაგობების დაარსება-აღორძინებისათვის საჭიროა დედა-ქალაქში გვქონდეს ჩვენივე სასოვდაგრო (ამ სიტყვას ერთი წევრთაგანი აწარმოებს სპარსულიდგან და გვეუბნება, ჰნიშნავს ვაჭარსაო. მადლობელი ვართ ახსნისათვის, ეტყობა სპარსთსაც კარგად იცნობს და ყიზილბაშურიც იცის, ხოლო ის-კი დაჰვიწყებია, რა ცნებას შეიცავს იგი ქართულს მეტყველებაში ჩვენის ზღაპრებიდგან დაწყებული) დეპო-მეთქი.

შეიძლება ჩემი აზრი სავსებით ვერ გამოვარკვიე, იქნება საგნის საუკეთესო მხარეებიც დამრჩა ხელ-შეუხებლად, იქნება შემცდარი აზრიც გამოვსთქვი, როგორც ერთმა მრავალთა შორის „მჯღაპნავმა“ და იქნება ღირსიც არ იყო ჩემი წერილები დასტამბვისა, მაგრამ მე-კი იმას მოგახსენებთ, რომ დიდს მადლობას შევწირავდი, დიდის მადლობით მივიღებდი ყველასაგან საკითხის ახალ მხარეების განმარტებას, აგრეთვე შეცდომის გასწორებას, ამას მოითხოვდა ის სამართალი, რომლის ერთი მუხლი ამბობს; „ვისაც სხვისს აზრის პატივის ცემა არა აქვს, იმას არც თავისი აქვსო“. ერთი მოწილეთაგანი ჩემს წერილებს, მისგან ფელეტონებად მონათლულს, არც იმას ამხელს, რა არის გამოტოვებული, არც იმას რა არის შეცდომილი, იმას პირდაპირ კოცონი დაუმზადებია, ერთს შამფურზედ აუგივართ მე და ბ-ნი ძველი ეკალი, გვატრიალებს, რაც შეუძლიან, სჩხრეკს ცეცხლსა და ვერა ძლება ჩვენის ხრაკვით. სრულიად დაჰვიწყებია, რომ ყიზილბაშურის ენის მცოდნეს შეიძლებოდა ყიზილბაშების, დაგომეების, ღაბონელების, ბენუელების და მიტჩისელების შეხედულება არა ჰქონოდა მტერსა და მოყვარეზედ და არც იმათებური სიმკაცრე და გემოვნება. ჯერ ერთი, რა აქვს მე და ძველ ეკალის ნათქვამს საერთო? მეორე, განა ორი შამფური არ ეშოვებოდა, რომ ერთზედ არ ვეხრაკეთ? ბ-ნ ერთ მოწილეთაგანის ფელეტონიდგან მოვიყვან იმას, რაც საქმეს შეეხება და ხოლო იმისის ამოწერით-კი, რაც კოცონსა და შამფურის ტრიალს შეეხება, თავს არ შევაწყენ მკითხველსა.

„ეხლა ვიკითხოთ, რა საჭიროა ახალი რამ დეპო, მთავარი იქნება იგი თუ სასოვდაგრო, როდესაც არსებობს ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობა „შუამავალი“? ამის პასუხად, თუ დამერწმუნებით, ერთს სიტყვასაც ვერსად ვერ აღმოაჩენთ ბ-ნ ნადიკვრელის ფელეტონებში და ვერ აღმოაჩენთ მხოლოდ მისთვის, რომ იგი მრავალი და ვრცელი ფელეტონები მისი იყო მხოლოდ თავიდამ ბოლომდე იგივე წესდება უკვე არსებული ,,შუამავალი‘‘ ამხანაგობისა, ხოლო მისდა შესაფერად განმარტებული‘‘. აქ მოჰყავს ,,შუამავლის‘‘ წესდების პირველი და მეორე მუხლი. მერე გვიხსნის: ,,მოკლედ რომ მოვჭრათ, როგორც თვით წესდებაშია გამოყვანილი და რომელიც იმათ არა ჰსურთ, რომ შეიგნონ, ეს ამხანაგობა უნდა იყოს ნამდვილი „შუამავალი“ მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის“, მან უნდა გააძეოს ყველა, ვინც-კი ოდეს მე ყოფილა და არის გაჩხირული მწარმოებელთა და მხმარებელთა შუა. ნუ თუ ეხლაც ცხადი არ არის თქვენთვის, ბ-ნო ნადიკვრელო, რომ პირდაპირ მექარხნეების ხელიდგან უნდა ვიბარებდეთ ყოველსავე იმას, რაც ჩვენ გვჭირდება, და პირდაპირ იმათ ვუგზავნიდეთ, რაც ჩვენ მოგვეჭარბებაო“? მეორე მუხლის შესახებ ამბობს, რომ ყველა ნადიკვრელისაგან ჩამოთვლილი „დარგები“ წესდებაში მოხსენებულიაო. რა-კი წესდების მუხლებით დაამტკიცა: 1) რომ „შუამავალი“ ნამდვილად მექარხნეებისაგან უნდა იბარებდეს საგნებს და 2) რომ ეს საგნები ყველა დარგის საგნებს შეადგენენ, გადადის იმაზედ, თუ სავსებით აწ არსებული „შუამავალი“ რამდენად აკმაყოფილებს წესდების მოთხოვნილებას. აი თვით მისგან ნათქვამი: „ვნახოთ ეხლა, მისდევს თუ არა ყველა ამას „შუამავალი“ ამხანაგობა საქმითაც: ყიდულობს პირდაპირ მწარმოებლის ხელიდგან თუ არა? ჰვაჭრობს იგი ერთის რომელ-სამე „დარგით“, თუ ბევრისა—„დარგებით“? ამ კითხვების შემდეგ ბ-ნი ერთი მოწილეთაგანი თამამად თვითვე უგებს შემდეგ პასუხს: „დღემდე ამხანაგობა ჰყიდულობს პირდაპირ ადგილობრივ მწარმოებელთაგან ყველსა და ერბოს, ზეთსა და საპნებს, არყებსა და სასმელებს (უთუოდ არაყი საჭმელი იქმნება), თამბაქოსა და პაპიროზებს, ხმელ ხილს, ღომს, დაფნის ფოთოლ, ბოსტნეულს და სხვა-და-სხვა საგნებს: ლიტრებს, ცოცხებს... და გამოწერილი აქვს რუსეთიდგან და საზღვარ გარეთიდგან სარდინკები და კონსერვები ყოველგვარი, მაკარონები, ზეთები (ეს მეორედ იმიტომ არის, რომ ზევით მხოლოობით რიცხვზედ იყო), ფქვილები, სპიჩკა, მდოგვი, არყები და სასმელები, ესენციები, ჟელატინები და სხვანი... აქვს აგრეთვე შეკვეთილი ადგილობრივ მწარმოებელთათვის, როგორც ჩვენ ვიცით, ათასის ფუთობით კარტოფილი, კომბოსტო, ჭარხალი, მუხუდო, ხახვი, ლობიო, სტაფილო და სხვა-და-სხვა ხილეული. დღეს „შუამავალის“ მაღაზიაში იყიდება 240 სხვა-და-სხვა სახელწოდების საგანი და ამას ყოველ-დღეობით ემატება ახალ-ახალი დარგები! შემდეგ ამბობს, რომ ამ ახლო ხანში გაიხსნება კიდევ ორი განყოფილება—ფეხსაცმელისა და საყასბოსიო.

ნადიკვრელი

(დასასრული იქნება)

◆◆

ახალი წიგნები

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი, გამოცემული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ“. ამ წიგნაკს ეწოდება „ამბავი ცხოველთა სამეფოსი“ შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ, ხოლო ქართულად ნათარგმნი გრ. ყიფშიძისაგან. წიგნს ჩართული აქვს ექვსი სურათი. წიგნში სავსებით და ლამაზად აწერილია ამბავი სხვა-და-სხვა ცხოველისა, მაგალითებრ, როგორ იფარავენ თავს ცხოველნი შიმშილისაგან, ზამთრის სიცივისა და ზაფხულის გვალვა-სიცხისაგან, როგორა ჰშრომობენ სარჩოს საშოვნელად, პირუტყვთა ომები და შენობანი, როგორ იკეთებენ ბინა-სახლ-კარსა და ჰზრუნავენ თავიანთ შთამომავლობისათვის და მოგზაურობენ და სხვანი. წიგნი საკითხავად ფრიად საინტერესოა და საყურადღებო, მით უმეტეს, რომ ქართულს ენაზედ ასეთის შინაარსის წიგნები თითქმის სულ არ მოიპოვება. ეს ახლად გამოცემული წიგნი შეიცავს 223 გვერდს პატარა ზომისას და ჰღირს 50 კაპ.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 ოქტომბერი.

ბაქო. მანთაშევის ნავთის შადრევანს უცბად ცეცხლი გაუჩნდა; მიზეზი არავინ იცის. ცეცხლი სხვა შადრევანებზედაც გადავიდა. მთლად რომანინის ღელე ცეცხლის ზღვას წარმოადგენს. განადგურებულია 27 ნავთის ჭა, ბეღლები, სახლები; ზარალი ძალიან დიდია. კაცების უბედურების შესახებ ჯერ არაფერი ისმის. დაზარალდნენ შემდეგი სავაჭრო სახლები: მანთაშევისა, „კასპიის ამხანაგობისა“, ნობელისა, კრასილნიკოვებისა, ასსადულაევისა.

კობურგი. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, ჰესსენის ჰერცოგი მეუღლითურთ და მემკვიდრე პრინცი საქსენ-კობურჰელი დარმშტატიდგან აქ მობრძანდნენ. სადგურზედ დახვდნენ ჰერცოგი მეუღლითურთ და იმათთან ერთად სასახლეში წავიდნენ.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლებს დღეს პირველი კრება ჰქონდათ ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆◆

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ამბავი
ცხოველთა სამეფოსი
შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ
სურათებით
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ	8	20
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ნ. ნიკოლაძის ნაწერები	„	30
კეთილი ძაღლი	„	30
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი	1	50

Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Октября 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.